

**შპს „აისი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

შპს "აისი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1491406	1392780	435302	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	47004	165183	199522	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	16557	165853	400972	3.3
მარაგები	1040	2824	1977	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	1040	2824	1977	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	623242	512139	68710	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	7406	27012	46618	
ძირითადი საშუალებები	3267165	3527551	2538521	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	2766	2765	2766	
სხვა გრძელვადიანი აქტივები			332459	
სულ აქტივები	5456586	5796107	4026847	
ვალდებულებები				
ფინანსური ოჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	3509	3673	11529	3.5
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11160	992		3.6
საგადასახადო ვალდებულებები		67005	10259	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	33524	11854	11854	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები			396	
სულ ვალდებულებები	48193	83524	34038	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	100	100	100	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	5408293	5712483	3992709	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	5408393	5712583	3992809	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5456586	5796107	4026847	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

დირექტორი _____ ვაჟა სიხარულიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "აისი"

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	495502	2841299	3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	495502	2841299	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საერთო მოგება	495502	2841299	
სხვა საოპერაციო შემოსავალი		3861	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-204699	-239989	
ცვეთა და ამორტიზაცია	-513231	-415528	
საპროცენტო შემოსავალი	29892	36759	
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-58701	-49000	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-166022	-571560	3.8
სულ საოპერაციო ხარჯები	-912761	-1235457	
საოპერაციო მოგება	-417259	1605842	
გაუფასურების ხარჯი/ აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების	-18695		
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	267648	124331	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	14408	-2617	3.9
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-153898	1727556	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-153898	1727556	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-153898	1727556	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5712583	3992809	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-150292	-7782	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5408393	5712583	3.10

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

დირექტორი _____ ვაჟა სიხარულიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "აისი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	90323	2298372
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-244043	-1376799
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-153720	921573
სავალუტო კურსის ეფექტი	252346	35905
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1392780	435302
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1491406	1392780

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

დირექტორი _____ ვაჟა სიხარულიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „აისი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2010 წლის 19 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ; მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404867701, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი ოდესის ქ. N 30. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2011 წლის 5 მაისს.

1.2. კომპანიის ერთადერთი პარტნიორი - 100%-იანი წილის მფლობელია ვაჟა სიხარულიძე (პ.ნ.01024001622).

1.3. კომპანიის დირექტორია ვაჟა სიხარულიძე (პ.ნ. 01024001622).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ავტომობილების (ნებისმიერი სახის) ყიდვა-გაყიდვა, დაქირავება-გაქირავება. ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

1.5. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 1 ადგილიდან (თბილისში) და კომპანიის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2020 წელს შეადგენდა 18 კაცს

1.6. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს მეკავშირე საწარმო, რომელშიც ფლობს 50% წილს. საანგარიშგებო პერიოდში, ასევე წინა პერიოდებში, მეკავშირე საწარმოს მოგება არ ჰქონია.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოდგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით),

რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით, 2023 წლის 1 იანვრიდან შედის ძალაში). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	0		0
ლარი საბანკო ანგარიშებზე	1782	15107	25193
ლარი საბანკო დეპოზიტი	200000	208153	
საბანკო ტერმინალი	0	2155	
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	262305	222827	133582
ევრო საბანკო ანგარიშებზე	1027278	944503	276496
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	41	35	31
სულ:	1491406	1392780	435302

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს კომერციულ ერთ ბანკში - სს „თიბისი ბანკში“.

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურების გაყიდვიდან	47004	165183	199522
სულ:	47004	165183	199522

2020 წლის ბოლოსათვის, კომპანიას სავაჭრო მოთხოვნები არის გადაუხდელი მოთხოვნები საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე, სულ - 7 დებიტორი 31.12.2020 წ. მდგომარეობით.

3.3. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლი

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	16359	3761	247
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	199	162091	400725
სულ:	16557	165852	400972

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით
ოფისის აღჭურვილობა	49	0	115	164	0	115.25	279
კომპიუტერები და აღჭურვილობა	425	30	709	1105	0	1329	2434
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7918	331	4411	11998	3432	5794	14360
სატრანსპორტო საშუალებები	3258253	220832	476849	3514270	1381520	388637	2521386
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	521	625	120	16	0	47	62
სულ:	3267164	221818	482204	3527551	1384952	395922	2538521

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 2318577ლარი;

2019 წლის ბოლოს - 1836373 ლარი.

3.4. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით
ლიცენზიები	6415	25661	44906
პროგრამული უზრუნველყოფა	991	1351	1712
სულ:	7406	27012	46618

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 91224.2ლარი;

2019 წლის ბოლოს - 71618 ლარი.

3.5. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	1646	3673	8731
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	1863	0	2798
სულ:	3509	3673	11529

31.12.2020 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 7 რეზიდენტი მიმწოდებლისა და 1 არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.6. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით
ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე	10726	396	
საპენსიო შენატანების გადახდის ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	434	596	
სულ:	11160	992	0

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2017-2018 წლების მოგება არ შემცირებულა მოგების გადასახადით.

3.7. ნეტო ამონაგები

	2020 წელი	2019 წელი
მომსახურების რეალიზაცია	495502	2841299
სულ:	495502	2841299

2019-2020 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან.

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი:

	2020 წელი	2019 წელი
რეკლამის ხარჯები	(8,358)	(20,875)
ინფრომაციული ხარჯები	(21,036)	(252,511)
სხვა ხარჯები	(22,229)	(40,275)
კომპიუტერის ხარჯები	(2,553)	(2,617)
კომუნიკაციის ხარჯები	(5,861)	(7,440)
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	(18,264)	(9,910)
ავტომობილის შენახვის ხარჯი	(19,641)	(72,472)
საწვავის ხარჯები	(865)	(4,299)
საგადასახადო ხარჯები	(34,049)	(31,986)
საექვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები	(3,130)	
საბანკო ხარჯები	(9,490)	(54,921)
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)		(31,601)
საკონსულტაციო ხარჯები	(7,203)	(12,881)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(13,341)	(29,771)
სულ:	-166022	-571560

3.9. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავლი/ხარჯი:

	2020 წელი	2019 წელი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3394	3861
პანდემიასთან დაკავშირებული არასაოპერაციო შემოსავალი	12679	5
სამეურნეო ჯარიმები და პირგასამტეხლოები	-938	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(727)	(1,249)
სულ:	14408	2617

2020 წელს მოგების განაწილება არ მომხდარა და შესაბამისად, 2020 წელს კომპანიას არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი.

3.10. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	100	100	100
გაუნაწილებელი მოგება	5408293	5712483	3992709
სულ:	5408393	5712583	3992809

3.11. სასამართლო დავები

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020-2021 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელსაც. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2020 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი, შვილობილი კომპანია) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს.

შპს "აისი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1491406	1392780	435302	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	47004	165183	199522	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	16557	165853	400972	3.3
მარაგები	1040	2824	1977	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	1040	2824	1977	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	623242	512139	68710	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	7406	27012	46618	
ძირითადი საშუალებები	3267165	3527551	2538521	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	2766	2765	2766	
სხვა გრძელვადიანი აქტივები			332459	
სულ აქტივები	5456586	5796107	4026847	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	3509	3673	11529	3.5
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11160	992		3.6
საგადასახადო ვალდებულებები		67005	10259	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	33524	11854	11854	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები			396	
სულ ვალდებულებები	48193	83524	34038	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	100	100	100	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	5408293	5712483	3992709	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	5408393	5712583	3992809	3.10
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5456586	5796107	4026847	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

დირექტორი ვ. სიხარულიძე ვაჟა სიხარულიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "აისი"

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	495502	2841299	3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	495502	2841299	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საერთო მოგება	495502	2841299	
სხვა საოპერაციო შემოსავალი		3861	3.8
დასაქმებულთა ანაზღაურება	-204699	-239989	
ცვეთა და ამორტიზაცია	-513231	-415528	
საპროცენტო შემოსავალი	29892	36759	
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-58701	-49000	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-166022	-571560	
სულ საოპერაციო ხარჯები	-912761	-1235457	
საოპერაციო მოგება	-417259	1605842	
გაუფასურების ხარჯი/ აღდგენა			3.9
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების	-18695		
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	267648	124331	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	14408	-2617	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-153898	1727556	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-153898	1727556	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			3.10
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-153898	1727556	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5712583	3992809	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-150292	-7782	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5408393	5712583	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

დირექტორი

გ. სიხარულიძე

გაფა სიხარულიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "აისი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	90323	2298372
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-244043	-1376799
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-153720	921573
სავალუტო კურსის ეფექტი	252346	35905
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1392780	435302
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1491406	1392780

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

დირექტორი

ვ. სიხეჯიძე

ვაჟა სიხარულიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.